

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 595712727

N 279
02/07/2018

279-07-3-201807021052



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 26 ივნისს გაიმართა ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს ფრაქციის სხდომა. გიგზავნით აღნიშნული სხდომის ოქმს.

დანართი: ოქმი N 9- 5(ხუთი) ფურცელი

პატივისცემით,

ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“
სხდომის ოქმი №9

ქ.ლანჩხუთი

26.06.2018 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის წევრები:

ბესიკ ტაბიძე, გოდერძი ქურიძე, კახა ბოლქვაძე, ციცილო ჩხაიძე, რევაზ კვერენჩილაძე, გისანა ურუშაძე, გიორგი გვარჯალაძე, ელადიშერ ნანაძე, კახა თედორაძე, რეზო კვაჭაძე, ზაალ სანაძე, გიორგი ჩახვაძე, დავით ჩხარტიშვილი, თორნიკე ტიკაძე.

მოწვეული პირები:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ბესიკ კუპრაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

/მომხსენებელი ბ. კუპრაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

/მომხსენებელი ბ. კუპრაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

/მომხსენებელი ბ. კუპრაძე/

4. სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 15, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადმინისტრაციული ცენტრი“-ისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება, შენობა-ნაგებობები, კერძოდ: ლანჩუთის მუნიციპალიტეტის-ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 27.11.45.083), მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 27.01.42.015), ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 27.14.48.020), ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 27.12.41.004), ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 27.13.42.001) და აგანის ადმინისტრაციულ ერთეულში (ს/კ 27.02.44.233), სადაც ფუნქციონირებს საბავშვო ბაღები. შესაბამისად აღნიშნული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადმინისტრაციული ცენტრისათვის“ (ს/ნ 233732565) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან აიპის ქონება ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 15, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა მამუკა ვადაჭკორიამ, მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ, ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის დავით წერეთელის 2018 წლის 23 აპრილის №74 მომართვის საფუძველზე მოამზადა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ლანჩუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ სუფსაში მდებარე 1128კვ.მ

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 412.1კვ.მ შენობა-ნაგებობა-კულტურის სახლი (ს/კ 27.15.52.012)) პირდაპირი განკარგვის წესით,სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცემა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“ (ს/ნ 233731478). საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 15 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაეცემაზე მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა მამუკა ვადაჭკორიამ, მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა ამხანაგობა „2016“-ის (ს/კ 233734386), წევრმა თამარ ჯიჯიეშვილმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ აკეთში მდებარე 54კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 34.2 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.03.44.309)) სარგებლობის უფლებით გადაეცემასთან დაკავშირებით. განმცხადებელმა ასევე თანდართულ დოკუმენტად წარმოადგინა გაფორმებული ხელშეკრულება (14.06.2016წ, №3103626), ამხანაგობის ერთ-ერთ წევრ გოჩა დლონტსა და სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს სახელმწიფო პროექტ „აწარმოე საქართველოში“-ს ფარგლებს შორის, რომლითაც ამხანაგობას მიღებული აქვს თანადაფინანსება 9900 (ცხრა ათას ცხრაასი) ლარი.

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტის ქონება (აუქციონის გარეშე) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ერთი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადასცეს ამხანაგობა „2016“-ს, რომელიც თანადაფინანსებით აპირებს პურის საცხობის მოწყობას და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება შენობა-ნაგებობა.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 15 , წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა

დეპუტატი ციციხოველი დაინტერესდა ჩასმულია თუ არა მიმდინარე წელს გაზიფიცირების პროექტში ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეული, მან ასევე აღნიშნა, რომ გურიის ქუჩის მცირე მონაკვეთი დარჩენილია სანიაღვრე არხის გარეშე და წვიმის შემთხვევაში იტბორება საკარმიდამო ნაკვეთები.

დეპუტატმა კახა თედორაძემ აღნიშნა, რომ ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში დასამატებელია სანაგვე ურნები, მისი თქმით დღის წესრიგში ისევე დგას გრიგოლეთის პლიაჟის დასუფთავების პრობლემა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის გაზიფიცირების პროექტში არ არის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეული, თუმცა მომავალი წლის პროექტში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. მისი განმარტებით, მიმდინარე წელს ჩასმულია ჩიბათი, ლესა, ზემო აკეთი, ქალის დასახლება. ასევე მან აღნიშნა, რომ გვიშალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში დაწყებითი სკოლის რეაბილიტაციის კუთხით მნიშვნელოვანია მუშაობის დაწყება. მისი განმარტებით, ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზებზე ამ ეტაპზე ვერ დაიდგმება დამატებითი სანაგვე ურნები, რადგან პირველ რიგში ცენტრალურ ქუჩებს უნდა მიეძღვნა ყურადღება, რაც შეეხება გრიგოლეთის ტერიტორიას პლიაჟი დასუფთავდა და კიდევ არის დაგაგეგმილი მისი დასუფთავება შესაბამისი ტექნიკით, ხოლო რაც შეეხება მიმდებარე ტერიტორიას არის კერძო საკუთრება და მუნიციპალიტეტი ვერ განახორცილებს სამუშაოებს. ამიტომ უმჯობესი იქნება შემუშავდეს ნორმატიული წესი, რომელიც კერძო მესაკუთრეს დაავალდებულებს დაასუფთავოს პლიაჟთან არსებული ტერიტორია და არ შესრულების შემთხვევაში დაეკისრება ადმინისტრაციული ჯარიმა.

დეპუტატმა ცისანა ურუშაძემ აღნიშნა, რომ დაწყებითის სკოლის გაკეთების კუთხით, ის აუცილებლად ჩაერთვება ამ პროცესში, მოიძიებს პირველ რიგში სკოლის კონტიგენტს. მან ასევე აღნიშნა, რომ თუკი დაწყებითი სკოლა გაკეთდება, აუცილებელი იქნება სკოლის მოსწავლეების მომსახურება ტრანსპორტით.

დეპუტატმა გოდერძი ქურიძემ აღნიშნა, რომ მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს სანიაღვრე არხების მშენებლობა, რომელიც უერთდება კვირკველიას ქუჩას, სადაც ვიწროვდება არხის მოცულობა და უხვი ნალექის მოსვლის შემთხვევაში იტბორება აღნიშნული ტერიტორია.

დეპუტატმა გიგი გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ ზესარაზის უბნის მოსახლეობას არ აქვს როგორც ტექნიკური, ისე სასმელი წყალი. აღნიშნული პრობლემა საჭიროებს დროულ რეაგირებას.

დეპუტატმა რეზო კვაჭაძემ აღნიშნა, რომ ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსაწესრიგებელია წყლის, გზისა და გარე განათების პრობლემა. ასევე შრომისუბნის სასაფლაოზე დასაყენებელია ელექტროენერჯის მრიცხველი. გარე განათება აღსადგენია სოფელ გულიანსა და ხორეთში.

ფრაქციის თავმჯდომარე ზესიკ კუპრაძემ სხდომას გააცნო ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფეხბურთო კლუბი "ლანჩხუთის გურია"-ს წერილი, რომლის თანახმადაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეშვეობით კლუბს გადმოეგზავნა FIFA-ს 2018 წლის 5 ივნისის წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

მერიის საფეხბურთო კლუბი „ლანჩუთის გურია“-მ მოსარჩელე მხარეს Friburguense Atletico clube საფეხბურთო კლუბს, გადაწყვეტილების რეგისტრაციის თარიღიდან 30 დღეში უნდა გადაუხადოს 37.500 ევრო და ასევე აღნიშნულ რაოდენობას დამატებული 5 პროცენტი, ასევე FIFA-ს 5000 შვეიცარული ფრანკი. საფეხბურთო კლუბმა „გურია“ უნდა უზრუნველყოს გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლის გაგზავნა FIFA-ში არა უგვიანეს 2018 წლის 9 ივლისისა. მან ასევე აღნიშნა, რომ თუ კლუბი აღნიშნულ დავალიანებას არ გადაიხდის დაეკისრება გარკვეული სახის სანქციები და მოიხსნება ჩემპიონატიდან.

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტმა მიმართა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ლანჩუთის გურია“ს 2015-2017 წლის პერიოდის ფინანსური აუდიტის ჩატარების მოთხოვნის თაობაზე, თუმცა სახელმწიფო აუდიტმა უარი განაცხადა ამ საქმის შესწავლაზე და აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხებზე ოპერატიული რეაგირებისათვის მერიას გააჩნია შიდა აუდიტი. ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 11 აპრილის N244 ბრძანების შესაბამისად ჩატარებულ იქნა ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩუთის გურია“-ში დებეტორული და კრედიტორული დავალიანების დადგენის მიზნით შესაბამისობის აუდიტორული შემოწმება.

მან ასევე აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტს არ აქვს ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება, არის უამრავი ინფრასტრუქტურული თუ სხვა სახის პროექტები დაწყებული, რომელთა ბოლომდე მისაყვანად საჭიროა ადგილობრივი ბიუჯეტის 500 ათას ლარამდე ზრდა, შესაბამისად ასეთ სიტუაციაში წარმოუდგენელია აღნიშნული თანხის ბიუჯეტის გაზრდის ხარჯზე გადახდა.

მან ასევე განაცხადა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილი არის ოფიციალური წერილი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით და უახლოეს დღეებში ადგილობრივი მუნიციპალიტეტი მიიღებს პასუხს, თუმცა მანსი სამინისტროდან დახმარების გაწვევის არის ძალიან მცირე.

დებუტატმა კახა ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბ „ლანჩუთის გურია“-ს ფინანსური დავალიანების შესახებ უნდა დაიწყოს გამოძიება, იქნება ეს ფინანსური პოლიციის თუ სხვა შესაბამისი ორგანოს მიერ გამოძიებული ერთხელ და სამუდამოდ გარკვეული უნდა იქნას ამ კლუბის ფინანსური დავალიანების შესახებ მდგომარეობა და ყველა ის ადამიანი უნდა მიეცეს პასუხისგებაში, რომელსაც აქვს სისხლისამართლებრივი დანაშაული აქვს ჩადენილი.

დებუტატმა გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა რომ თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტმა არის საკმაოდ სოლიდური მუნიციპალიტეტისათვის და რომლის გადახდა მუნიციპალიტეტის მიერ შეუძლებელია, ასევე არ არის იმის გარანტია, რომ უახლოეს მომავალში კიდევ არ დადგება მუნიციპალიტეტი მსგავსი მდგომარეობის წინაშე. ამიტომ უნდა დაიწყოს გამოძიება, შესწავლილი იქნას დეტალურად კლუბის ფინანსური დავალიანების ოდენობა და პასუხისგებაში მიეცეს ყველა ის პირი, რომელსაც ამ მდგომარეობასთან ჰქონდა კავშირი.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ფრაქცია
„ქართული ოცნება-დემოკრატიული
საქართველოს“ თავმჯდომარე:



ზესიკ კუპრაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
26.06.2018 წელი

სახელი, გვარი	დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – ბესიკ კუპრაძე	13:53	
2. ბესიკ ტაბიძე	13:53	
3. ვლადიმერ ნანაძე	13:58	
4. გოდერძი ქურიძე	13:55	
5. კახა თედორაძე	13:55	
6. რეზო კვაჭაძე	13:50	
7. ციციშვილი მხაიძე	14:00	
8. ზაალ სანაძე	13:55	
9. ცისანა ურუშაძე	13:50	
10. გიორგი ჩახვაძე	14:00	
11. გიორგი გვარჯალაძე	13:51	
12. დავით მხარტიშვილი	13:55	
13. თორნიკე ტიკაძე	13:58	
14. კახა ბოლქვაძე	13:59	
15. რევაზ კვერენჩილაძე	14:00	